


სასაუბრო ფურცელი

სურათებიანი ჟამათები

გაზეთის № 256

ლაგატივის № 46

კვირა, 12 აპრილი 1915 წ.



გგოსანი ბაბილინა.



დაკოდილი

ცაო, დაგწყევლო—ვწუხდები,
დედა ხარ მზის და მთვარისა;
დილა-სალამოს მშობელი,
გულ-მკერდი ვარსკვლავთ ჯარისა.

თუ არა, რა ვქნა: დაკოდილს
მოთმენა აღარ მკმარისა;
ტანჯვა ვიჩივლო დედისა,
თუ კენესა ძმა მკვდარ ქალისა?!

ხომ ჰხედავ, სისხლის ნაკადებს
როგორ ტბავდება, ზღვადება
და რაც დღე გადის ნადველი
მშობლისა უფრო მწვავედება.

მწვავედება, მწარედ ხელს აწვდის
აი შენს გუმბათს დღესაცა;
ჰსურს გული ამოავლიჯოს
შენს მთვარესა და მზესაცა.

სწადია გაათრებულსა
შენიმც გაიგოს კივილი,
იგრძნო, როგორი ყოფილა
შვილ დაღუპვილის ჩივილი...

მაშ, რატო არ სცემ მებს და ზარს
იმ კუთხეს ან იმ მხარესა,
ვინც სიტკბოს დაგვანატრულა
და გვასმევს მხოლოდ მწარესა?!..

ცაო, დაგწყევლო, ვწუხდები,
თმენა კი აღარ მკმარისა;
შენც ხომ დედა ხარ მზე მთვარის
და ძუძუ ვარსკვლავთ ჯარისა.

შესწყვიტე სისხლის წვიმები,
ხმალიც დაღეწე, ფარიცა,
კვლავ სიყვარულზე ამღერე
აწმყოც და მომავალიცა.

შიო მღვიმელი.

მშვიდობით!

(შორეულს).

მშვიდობით!.. გზაზე ნორჩ ყვავილებად
გადაგეშალოს ქვეყანა ვრცელი,
ცხოვრების დილა მზემ მოგიქარგოს,
მთვარის ოცნებამ კი სარეცელი!..

მშვიდობით!.. მარად გითანამგზავრებს
უმანკო ლოცვა ჩემის გრძნობისა;
მშვიდობით და თუ შენს ახალ გზაზე
ჰპოვო შეცდომა უმიზნობისა,
თუ შენს ნავალზედ ცრემლების ლაქად
ამოიქარგოს წარსულის კვალი,
ისევ მოგწყურდეს მგოსნური ცეცხლი
ისევ მოგწყურდეს სპეტაკი ალი.—

ნუ დაიტირებ... მდულარე ცრემლი,
ლაწვზედ ამოდ ჩამოგორდება;
ნულარც მოუხმობ გამოვლილ წუთებს—
ის არასოდეს განმეორდება!..

ვფიცავ ღამეებს ცრემლით დანამულს
შენთვის უძილოდ გატარებულსა.
ვფიცავ შენს ალერსს, შენს მაცდურ აღთქმას
წუთის საცელქოდ დაპირებულსა,—
რომ თუ შენს მოძღვნილ მწუხარებაში
თვით სილამაზეს მე ვერა ვპოვებ,—
გრძნობას დავახრჩობ ცრემლების ზღვაში
და სიცოცხლესაც გამოვივლოვებ!..

4 აპრილი.

ს. ფაშალიშვილი.



ტრეპინეცობა



გამოჩენილი ანტრეპრენიორი და მსახიობი
დ. ა. გაიდაშაკა.



მსახიობი ქ-ნი კოჩუბეი-ღვზანოვსკაია.



მსახიობი ქ-ნი შახტაკოვსკაია.

მასი ფეილიში



მასხიობი ქ-ნი ზატირკევიჩი.



ნიქიერი მასხიობი ლ. მანკო.

გერცხლით სნეული

(შემდეგი *)

23.

ტიმოთე კი მტკიცედ ედგა თავისგან არჩეულ შარას. მას კიდევ გაჰმარჯვებოდა თავის სავალზე და ყელმოღერებული მიისწრაფოდა წინ; ვედარ ამჩნევდა ამ გაბედულ სვლაში თავისზე სუსტთ თუ უმცირესთ. ან რაღა საჭირო იყო ყურადღება მათდამი და რაიმე გაფრთხილება?! უმდაბლესნი რომ იყვნენ ისინი, უძლურნიც იყვნენ და, მაშასადამე, დასათრგუნნი. გაახსენდა ხუცესს ნაწყვეტი ფრაზები: ცხოვრება ბრძოლაა დაუნდობელი და ვაშა მძლედ მებრძოლთ! გაახსენდა მივიწყებულ ისტორიიდან სათანადო სურათები, როდესაც გალაღებული მძლეველი ხმალამოწვდილი ჰკაფამდა ყველაფერს, რაც კი აბრკოლებდა მას დიდებულ წინსვლის დროს, და არ მიუპყრობდა თვის სასმენელს სუსტთა ზრახვას თუ ზახი-ს. ეგრე მედგრად და მრისხანედ უნდა სვლა მიზნისაკენ! რა ვუყოთ, რომ ზოგს მსოფლიო ასპარეზი გაჰფენია ფერხთ ქვეშ, ზოგს მცირედი რომ სარბიელი პაწაწა. ყველა თავის მოქმედების ფარგალში უნდა კეისრობდეს შეუდრკომლად.

ესე იმისთვის წავიდა თავს მხედარი ქრისტესი და რაინდი ეკლესიისა, რომ ძალა და დიდება ივდო ხელში თვის წოდებაში: ჯერ ხომ მღვდელთუხუცესად დანიშნეს, შემდეგ ჩააბარეს სამრევლო სასწავლებელთა გამგებლობა, მემრე იგივე დააყენეს ამ სასწავლებელთა გამგე კომიტეტის თავმჯდომარედ მთელ მაზრაში, ბოლოს შესძღვნეს ოქროს ჯვარი და დეკანოზობა, სხვა რაღა დიდება უნდოდა ვიღაც სოფლის ხუცესს?! ტიმოთეს ესლა, როგორც უკვე შესამჩნევ პირს, ხშირად მიჰპართამდაენ ხოლმე საძნელო საქმეებში: ჩააბარებდნენ გამოჩიებას მღვდელთა შორის უთანხმოების მიზეზებისას, მიანდობდნენ ანგარიშების გასწორებას, თუ სადმე საეჭვო რამ საანგარიშო აღმოჩნდებოდა; მოსთხოვდნენ ჰაზრს ამა თუ იმ სამღვდელთა პიროვნობის და მის მოქმედების შესახებ. გალაღებული ხუცესიც პამპლაუქობდა, დიდის ზარით და ზეიმით აღასრულებდა მინდობილობას და, სასწორის უღელის ხელში მჭერა, თვის ნებაზე ათამაშებდა სიმართლის თასებს.

და მოდიოდა სახლში დავლა, რომელი ახარებდა გულსა ხუცესისასა და კვლავ ალაღებდა მას: მეტს გამბედაობასა სძენდა და საჭირო სიფრთხილეს აკარგვინებდა, თავხედობის სამხლერამდის აბიჯებინებდა. გაამაყებულს აღარ ესმოდა, რომ მისი ქცევა სრულებით არ იყო მის თანამედებობასთან შეზომილ-შეხამებული, ისიც კი დაჰ-

ვიწყებოდა, რომ მოყვასთა ძარცვა-ქელვა სათაკილო მოქმედება იყო, ხოლო მისი საქვეყნოდ თავმომწონეთ გამოტანა ცოდვა შეუნდობელი.

— რა მადლი უნდა ჰქონდეს მაგისთანა მსახურს ეკლესიისას, რომელს ერთს ჟამს ტრაპეზის წინ განუპყრნია ხელნი ლოცვად და ვედრებად ყოვლადმოწყალისა მამისა მის ზეცათასა, ხოლო მეორე წამს იმავე ხელით ჰხვეჭავს ნაარმევს?! როგორ უნდა ვეამბორო იმ მარჯვენას, რომელი მოაშთობს ქრისტეს მიერ შეილთა თვისთა და ტყავსა ჰბდის თვის სამწყსოს სულიერს?

— ეჰ შენცა! განათლებული გვამია და იცის, როგორ მოეპყროს ფარასა მას მეტყველს. მაშ რის მწყემსია, თუ არ გაჰკრეჭს ან არ მოსწველს თვის ცხოვართ, ან არ იგემებს ჟამეამად მათს ხორცს საკურნებელად ხორცისა მის თვისისა?! ან ვის გაუგონია კრავი დარტვინავდეს მწყემსის წინაშე და არ ჰპორჩილებდეს მას უსიტყვოდ?!

— მართალია, მაგრამ ერთობ თავს წავიდა ხუცესი, მთლად წაიყარა ლავამი. სწორედ დროა გაახსენოს ვინმე, რომ არც ისე უძაღლოა სოფელი, რომ ეგრე გაბედვით დააღაჯებს უჯოხით.

— მემრე ვინ არის აქ მაგის მეტოქი და კბილის მომჭრელი?

— გამოჩნდებიან! იცი, თურმე მსაჯულს სრულებით არ მოსწონს, რომ მაგის საჩივრები ყოველთვის შედის სამსჯავროში და აღმასრულებელი ფურცლები გამოაქვს გლეხებზე, თითქო მოძღვარი კი არა, ვინმე გაქნილი ვეჭილიაო.

— მაღხაზიც კი კბილებს იღესამს მღვდელზე, რადგან მაგას არ მიანდო ფულის საქმეები და შემოსავალი მოაკლო; მემრე ი ბერაანთ ქორწილის ამბავიც გულში ხინჯადა აქვს ჩაჭრილი. ხომ იცი, მაღხაზი ისეთი კაცი არ არის, ჯავრი შეირჩინოს ვისიმე.

— ხალხიც კი ძალიანა ჰყავს ამ ბოლოს დროს ამტერებელი; თუ ხელში ჩაიგდეს, არ დაინდობენ.

— როგორ არ ამტეროს კაცი, რომ შეაწუხა სოფელი: თამასუქები რომ უჭირავს ხელში, იმით იმდენს სარგებელსა ჰკრეფავს, რომ წლის განწესებას უდრის.

— მაშ ორჯერ უკრეფნია დრამა: ერთხელ სარგებლის სახით და მერმე, როგორც განწესებულობა.

— ძალიან ხერხიანად დაიჭირა ხელში სოფელი.

— ბოქაული და მამასახლისი ყოველთვის მისკენ არიან.

— ასარგებლებს და არიან! ჩვენგან რომ მაგდენს არას გამოვლიან, აკი ზურგიცა აქვსთ შემოქცეული.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 45.



ნეიშვანებურგში (ლიფლანდიის გუბერნია) არსებულ ლაზარეთში მყოფი დაჭრილი ქართველი ჯარისკაცნი. (იხ. ლ. გახეთი).

— რა ოინი იქნება, რომ მოახერხოს მალხაზმა და შეარციოს ეს კაცი.

— სწორედ სამადლობელ საქმეს იზამს და სახელოვანს.

ამისთანა ლაპარაკი ბევრი იყო სოფელში, ბევრი ნატრობდა ხუცესის დამხობას, მაგრამ სიტყვა ვერ ხორციელდებოდა, ის კი თავის განზრახვებს მარჯვედ აწყობ-ასრულებდა. მარინეს უფრო და უფრო არ მოსწონდა თავისი ქმრის ქცევა, არც კეთილს გამოელოდა მის მოქმედებისაგან, მაგრამ ეხლა სრულებითაც ვეღარას ახერხებდა გალომბეულ კაცთან და რტანჯებოდა. შინ შემოტანილი თუმნიანი მოყვასის სისხლით ეგონა შეწითლებული, ხოლო ახალი ლურჯი ქალაღი უსახამდა მას ჯავრით ჩაღურჯებულს გულს იმ ოჯახისა, საიდანაც გამოეტანა მას იგი ფული.

24.

ხალხს უკვე ჰქონდა შეგნებული და ცხადად დახატული ტიმოთეს უკაცური მიდრეკილება და ცუდი თვალთ უყურებდა მას, დრტვიანდა მის წინააღმდეგ. ბევრს პირადი მტრობაც აღელვებდა და ჯავრის ამოყრასა ჰნატრობდა. მაგრამ სოფელი ჯერ ისევ გულჩათხრობილი სდებოდა. უკმაყოფილების იარას ჯერ მთლად/ვერ მოეკრიბნა ძალა, რომ ანთებულიყო და გადაეშალა მთელი თვისი სიმძლავრე. ძალიან კი იყო სიმეები დაჭიმული. ერთი მცირედდ რამ შემთხვევა და აკლდა, რომ ეფეთქნა ამ ჯავრთა ნაღმს და ავარდნილიყო შავ კვამლად.

— ქალო, ჩემო ანგელოსო მარინე, მეშინიან გითხრა და არც გეტყოდი, მაგრამ რა ვქნა, რომ მიყვარხარ და მებრალები.

— რა მოხდა ქა? ქალაქიდან ხომ არაფერი გაგივია ი ჩემი ბაღლებისა?

— რასა ბრძანებ, მღვდელის ჯალაბო, საიდან რას გავიგებდი იქაურ ამბავს? ბაღლებს ჯვარი სწერიათ, მაგრამ ჩვენ მოძღვარზე არის ხალხი აღელვებული. ისე ოჯახი არ შეიკრიბება, რომ ავი არა თქვან მაგაზე. მთლად გაგვძარცვავო, არც წესებს ასრულებსო თავის რიგზე. უწმაწური ლექსებიც კი დადის მღვდელზე.

— რა წესებს, ადამიანო?

— როგორ არა! სულ თითებზედა აქვსთ ჩამოთვლილი, როდის არა სწირა, რამდენი უზიარებელი მოკლა, რამდენს სახლი არ გაუნათლა, ჩემი ვალი არ გადაგიხდიაო; იმასაც ამბობენ, შვიდის წირვას ვუკვეთამთ, გადაწყვეტილ სასყიდელს ვაძლევთ სათითაოდ, ეგ კი ვაბმით არ უსრულებს შვიდეულს და თანაც რამდენიმე მიცვალებულსთვის ერთადა სწირამს. ნაჩხატაანთ ბარბარეს საწყალი კაკლა სჩვენებია სიზმრად, თურმე თვალცრემლიანი ევედრებოდა დედას, აწირვინე და დამიხსენ სატანჯველისაგანაო. ჯვარისწერაზე ხომ ნულარას იტყვი: თუშან ნაკლებ არც ვისმე ჯვარსა სწერს, არც ვის ბარათს აძლევს. ბოქაულთან ისე არ ეზარებათ ჩვენ კაცებს მისვლა, როგორც მღვდელთან.

— რა ვქნა, მართაჯან, და რა წყალში ჩავეარდე. შენ ხომ იცი, რომ სულ იმას ვუთხნები მაგ დალოცვილს, ტკბილად მოექმეცი მრევლს, საწყალნი არიან და შეღავათი მიეც მეთქი, მაგრამ რომ ვერა შევასმინე რა. რად მინდა, ნათლიდედაჯან, სარჩო-საბადებელი, თუ ხალხის ცრემლით იქნება დამბალი. ხმელი ლუკმა მიჩვენია, ოლონდ სიხარული იყოს ჩემს გარშემო და პატივცემი.

— რახან ვაგვბედე, ნათლიაჯან, ბარემ ბოლომდის გავიმელაუნებ. პანტიანში ნუ დადის მოძღვარი უსაქმოდ, დაუწალე; მივა და ჩამოხდება ი ოსიყმიანთ ქვრივთან. სოფელი ძალიან არის აშფოთებული; ამბობენ, მოვასწრობთ და თავსლათს დავასხამთ ბაბაღესაც და მღვდელსაცაო.

— განა მაგისთანა უზნეობასაცა სწამებენ? უი შენ, ჩემო თავო! დაიძახა მარინემ და ლოყაზე ხელი ჩამოიკრა.

— ნუ, გენაცვა, გულს ნუ შეიწუხებ. ათას რასმე ყბედობს გამწარებული ხალხი, რომ სახელი გაუტეხოს ბატონივით კაცს და ავნოს რამე. აბა რა დასაჯერებელია, ვილაც მწვირიან ბაბაღეს გამოცხადებს კალთაზე, როდესაც ეგეთი ძვირფასი მარგალიტი შინ უზიხარ.

ამ ამბავმა ჩათუთქა მარინე, ღრმად ჩააფიქრა და ჩაასევდიანა. ეხლა კი აევსო მას ფილა მოთმინებისა, გესლით აპირთავდა იგი, მის ქმრისაგან სახლში შემოტანილი შხამით, და ეს მტრედევით უგნებელი ქალი მკაცრ ხასიათზე თუ მოქმედების კვალზე დააყენა.

დალამდა. ბავშვები სახლში შემოვიდნენ. დიასახლისი იჯდა ჩაფიქრებული, ადგილიდან არ იძროდა.

— დედი, ჰა დედილო! ბნელა, ლამპარი რატომ არ აგინთია?

— ჰა? ბნელა? მიუგო ქალმა.

და ააშუქა სანათი, მიაწყნარა ყველაფერი, აევაშმა ბავშვები, დააძინა. ამას ყველაფერს შეუგნებლად ასრულებდა მარინე, ანგარიშის მიუცემლად; მოძრაობდა იგი ჩვეულებრივ, გონება კი სულ სხვაგანა ჰქონდა: ჰაზრით ითვალისწინებდა იმ უბედურებას, რომელი დაატყდა მას თავს, პირად მას და მის ქალობას.

რალა იყო ეხლა მარინე, შეურაცხყოფილი და ქალთაგან გამოჩეული? იგი სცდილობდა დაეყენებინა ქმარი სათნო გზაზე, ჩაენერგა მისთვის სოფლის პატივცემა და ხალხთან ღვთისნიერად ქცევის სურვილი, რომ აღმოცენებულიყო სიყვარული მისა და მის მრევლის შუა, მისი ქმარი კი, მეუღლე მისი მოძღვარი, თურმე თითონ ცოლსაც სძარცვავს, ლეჩაქსა ჰხდის თავიდან, მეძავსა ჰხურავს წაბილწულს; სოფელს აცინებს თვის ცოლზე, ყბად ასაღებდა ჰხდის მას და იგავადა სდებს ქვეყანაზე. რადა, რისთვის? განა ისეთი მეუღლე იყო მარინე, რომ ქმარი არ ყოფილიყო კმაყოფილი თუნდ ერთ წამს? მთლად ხომ მას ეუთვნოდა სულითა და ხორციტ მარად ჟამს, ქმრის ყველა სურვილი ხომ ყოველწამს სრულდებოდა მისგან და სრულდებოდა არა სიმძიმლით, არამედ სიყვარულით და სიხარულით. მაშ რალა უნდა უძღვებ, რალას ეტანება უწმინდური?

— ნეტა ჩემზე ლამაზი მაინც იყოს, გათხლეშილი დედაკაცი. განა ეგეთი პატივი შემშვენის ამდენი შვილების დედას? მიკვირს და ვეღარც გამიგია რამ: მრუში და სამკვეთლოსთან ტარიგის ამომღები! არა, ტყუილი იქნება ყველა ეს, ცილისწამება საზარო, გველის რამ სისინი, რომ არიოს კეთილად მოწყობილი კერა და დაამხოს იგი, თორემ ზეცა ხომ არ აპატივებდა ამისთანას, არც ნებას მისცემდა მიახლებოდა სიწმიდეს: ცეცხლი ღვთაებრივი გარდამოხდებოდა სამკვეთლოდან და დასწვამდა ცოდვილს.

— კეთილად მოწყობილი კერა! არა, მრავლის ცრემლით მორწყული და ნატაცებზე აგებული კეთილდღეობა. ხომ ჩემის თვალთ მინახამს არა ერთი მაგისგან სასტიკად აკვნესებულ-აგრემლებული, საღლა არის აქ ან სიკეთე, ან ღმობიერება? ვაი, თუ იგი მართლა მავნეა ცხვრის ტყავში გახვევული, მტაცებელი ცხოვართა მათ სიტყვიერთა, დაიკვნესა ქალმა და ხელი გაიქნია, რომ უკუედო ეს ცუდი სურათი.

გარინდდა ქალი. ერთს ხან გაუძძრეველად იჯდა. მის გაწვალებულ გონებას ისევ წინანდებურად წარმოუდგა ქმარი, ფარის ტანისამოსით დამშვენებული, თმა-წვერ კოხტად გადავარცხნილი, დიმილით რომ შეეგებებოდა ხოლმე ქალის ალერსს. ისევ ისეთი იყო ტიმოთე, მაგრამ, დახე, თვალები კი სულ სხვანაირები დაჰხდომოდა: სისხლით სავსე, ბოროტად მოელვარე, ჩაღრმავებული; პირიც უფრო დიდი ჰქონდა, სისხლით შებასრული კბილები ეშვებევით გამოსვლოდა ბავიდან. უყურებს ქალი ქმარს, ეშინიან, იტანჯება, უნდა ხმა ამოიღოს, დაიძახოს, აღმოთქვას სიტყვა, იგი სასწაულთმოქმედი სიტყვა, პირს რომ მოსდგომია მას, გარნა ენა მისი არქმია სასასა მისსა და ვერლა ძალუფს წარმოსთქვას იგი საჭირო თქმა. იცის კი მარინემ, მთლად დარწმუნებულია, რომ თუ იტყვის იმ საიდუმლო სიტყვას, რომელი აგერ ენის წვერზე ადგა მას, მაშინვე ჩამოეცლება მის მღვდელს სახე იგი საზარელი და მის წინ წარსდგება ისევ ის საყვარელი მეუღლე, რომელსაც სურვილით და აღტიცებით მიუზღვნა თვისი უმანკო ქალწულობა, რომელს მიყურდნო მთელის თვისის არსებით, როგორც რამ ბურჯს საიმედოს და ურყევებს.

(დასასრული იქნება).

გ. ბარნოვი